განახლებულია

კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის

07/01-02 (12.02.2026) ბრძანებით

რეიტინგული სტუდენტების დაფინანსების წესი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის რეიტინგული სტუდენტის დაფინანსების წესებსა და პირობებს.
2. თითოეულ სკოლაში, თითოეულ ეტაპზე ყოველწლიურად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ სამი რეიტინგული სტუდენტი. დამამთავრებელი ეტაპის რეიტინგის გამოვლენა არ ხდება.
3. რეიტინგი გამოითვლება თითოეული სკოლის პროგრამებზე რიცხული სტუდენტების ერთობლივი მონაცემების შესაბამისად (თბილისისა და ბათუმის ფილიალის შესაბამისი სკოლების ერთობლივი მონაცემების გათვალისწინებით).
4. წინამდებარე წესის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის, ჩანაწერი - „შესაბამის სასწავლო წელს“ - ნიშნავს, შესაბამის წელს, რომლის შედეგების მიხედვით ხდება რეიტინგული სტუდენტების გამოვლენა.
5. რეიტინგულად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტი თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

   ა) სასწავლო ეტაპები ემთხვევა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლების სტანდარტულ ეტაპებს;

   ბ) გავლილი აქვს შესაბამისი ეტაპის პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი;

   გ) მიმდინარე ეტაპზე სტუდენტის მიერ მიღებული ნიშნების საშუალო შეწონილი (GPA) აღემატება 3.8-ს (კალკულაციაში არ გაითვალისწინება საანგარიშო სასწავლო წელს გავლილი წინა ან მომდევნო ეტაპის საგნები, ასევე ნიშნების საშუალო შეწონილის განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება თავისუფალი კრედიტები);

   დ) სწავლის სტანდარტულ III ეტაპზე წარმოდგენილი აქვს TOEFL სერტიფიკატი არანაკლებ 78 ქულისა ან IELTS სერტიფიკატი არანაკლებ 5.5. ქულისა.

   ე) ხოლო, სამწლიან საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს სწავლის სტანდარტულ II ეტაპზე წარმოდგენილი აქვს TOEFL სერტიფიკატი არანაკლებ 78 ქულისა ან IELTS სერტიფიკატი არანაკლებ 5.5. ქულისა.

   ვ) უკანასკნელი 1 სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტს არ ააქვს შეფარდებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა;

   ზ) არ არის მოხსნილი გამოცდიდან ან/და არ აქვს განულებული გამოცდის შედეგები;

   თ) არ არღვევს უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ საუნივერსიტეტო წესებს.

   ი) აკმაყოფილებს შესაბამისი ეტაპისთვის დადგენილ სამეცნიერო/სასკოლო აქტივობას სკოლების მიხედვით შემდეგი სახით:

I ეტაპის სტუდენტის შემთხვევაში

- **კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის ეკონომიკის სკოლა, კავკასიის მედიცინის სკოლა, კავკასიის ტურიზმის სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა შესაბამისი წლის სამეცნიერო კონფერენციაში.

- **კავკასიის მედია სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა კავკასიის მედიის სკოლის შესაბამისი წლის შემდეგი აქტივობებიდან ერთ-ერთში: სხვადასხვა მედია პლატფორმის საქმიანობაში (ონლაინ რადიო, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები და სხვა); საუნივერსიტეტო დონეზე სკოლის მიერ განსაზღვრულ საქმიანობაში მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით; კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში. ჩამოთვლილი აქტივობები შესაბამისი წესით უნდა იყოს დადასტურებული.

- **კავკასიის განათლების სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა სკოლის მიერ განსაზღვრულ შესაბამისი წლის საქმიანობაში/აქტივობაში ან კავკასიის განათლების სკოლის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში. სკოლის მიერ განსაზღვრულ აქტივობაში/საქმიანობაში სტუდენტის მონაწილეობა შესაბამისი წესით უნდა იყოს დადასტურებული.

II ეტაპის სტუდენტის შემთხვევაში

- **კავკასიის ბიზნესის სკოლა (ეხება მხოლოდ ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს),კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის ეკონომიკის სკოლა, კავკასიის მედიცინის სკოლა, კავკასიის ტურიზმის სკოლა, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა (არ ეხება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს), კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა შესაბამისი წლის სამეცნიერო კონფერენციაში.

- **კავკასიის მედია სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა კავკასიის მედიის სკოლის შესაბამისი წლის შემდეგი აქტივობებიდან ერთ-ერთში: სხვადასხვა მედია პლატფორმის საქმიანობაში (ონლაინ რადიო, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები და სხვა); საუნივერსიტეტო დონეზე სკოლის მიერ განსაზღვრულ საქმიანობაში მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით; კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში. ჩამოთვლილი აქტივობები შესაბამისი წესით უნდა იყოს დადასტურებული.

- **კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა შესაბამისი წლის სამეცნიერო კონფერენციაში ან "სკოლის ორგანიზებულ ინოვაციურ პროექტში".

- **კავკასიის განათლების სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა სკოლის მიერ განსაზღვრულ შესაბამისი წლის საქმიანობაში/აქტივობაში ან კავკასიის განათლების სკოლის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში. სკოლის მიერ განსაზღვრულ აქტივობაში/საქმიანობაში სტუდენტის მონაწილეობა შესაბამისი წესით უნდა იყოს დადასტურებული.

- **კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა შესაბამისი წლის სამეცნიერო კონფერენციაში ან "სკოლის ორგანიზებულ ინოვაციურ პროექტში, ვორქშოფსა ან კონკურსში";

<u>III ეტაპის სტუდენტის შემთხვევაში</u>

- **კავკასიის სამართლის სკოლა, კავკასიის ეკონომიკის სკოლა, კავკასიის მედიცინის სკოლა, კავკასიის ტურიზმის სკოლა, კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა (არ ეხება საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს), კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა შესაბამისი წლის სამეცნიერო კონფერენციაში.

- **კავკასიის მედია სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა კავკასიის მედიის სკოლის შესაბამისი წლის შემდეგი აქტივობებიდან ერთ-ერთში: სხვადასხვა მედია პლატფორმის საქმიანობაში (ონლაინ რადიო, ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები და სხვა); საუნივერსიტეტო დონეზე სკოლის მიერ განსაზღვრულ საქმიანობაში მედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით; კავკასიის მედიის სკოლის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში. ჩამოთვლილი აქტივობები შესაბამისი წესით უნდა იყოს დადასტურებული.

- **კავკასიის ტექნოლოგიების სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა შესაბამისი წლის სამეცნიერო კონფერენციაში ან "სკოლის ორგანიზებულ ინოვაციურ პროექტში".

- **კავკასიის განათლების სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა სკოლის მიერ განსაზღვრულ შესაბამისი წლის საქმიანობაში/აქტივობაში ან კავკასიის განათლების სკოლის სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში. სკოლის მიერ განსაზღვრულ აქტივობაში/საქმიანობაში სტუდენტის მონაწილეობა შესაბამისი წესით უნდა იყოს დადასტურებული.

- **კავკასიის არქიტექტურისა და დიზაინის სკოლა**:

მიღებული აქვს მონაწილეობა შესაბამისი წლის სამეცნიერო კონფერენციაში ან "სკოლის ორგანიზებულ ინოვაციურ პროექტში, ვორქშოფსა ან კონკურსში";

6. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი რეიტინგში:

ა) დაიკავებს I ადგილს, მოეხსნება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადი შესაბამისი პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული წლიური კრედიტების ფარგლებში;

ბ) დაიკავებს II ადგილს, გაუნახევრდება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადი შესაბამისი პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული წლიური კრედიტების ფარგლებში;

გ) დაიკავებს III ადგილს, მოეხსნება სწავლების მომდევნო (სტანდარტული) ეტაპის გადასახადის 30%-ის გადახდის ვალდებულება შესაბამისი პროგრამის მიხედვით გათვალისწინებული წლიური კრედიტების ფარგლებში;

7. თუ სტუდენტი, რეიტინგში დაიკავებს I, II ან III ადგილს, მაგრამ დაფინანსების მოპოვების წინაპირობების შეუსრულებლობის ან სხვა მიზეზის გამო ვერ ისარგებლებს უნივერსიტეტის დაფინანსებით, ასეთ შემთხვევაში, რეიტინგული სტუდენტის ჩანაცვლება სხვა სტუდენტით არ მოხდება.
8. რეიტინგული სტუდენტის მიერ შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებულ წლიურ კრედიტებზე მეტი საგნების არჩევის შემთხვევაში, სტუდენტი თავად უზრუნველყოფს შესაბამისი კრედიტების ღირებულების გადახდას.
9. თუ დასაფინანსებელ აკადემიურ სასწავლო წელს რეიტინგული სტუდენტი არ აითვისებს დაფინანსების პირობით განსაზღვრულ კრედიტებს, დარჩენილ კრედიტებზე დაფინანსება არ გადადის მომდევნო სასწავლო წელზე;
10. გამონაკლისის სახით რეიტინგში მონაწილეობას იღებენ საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მივლინებული ის სტუდენტები, რომელთაც არა აქვთ აკადემიური დავალიანება.
11. თუ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა მიღებულ სტუდენტთა სწავლის ეტაპები არ ემთხვევა სწვალების სტანდარტულ ეტაპს ან/და თუ უნივერსიტეტის მხრიდან ვერ მოხდება შესაბამისი ეტაპის პროგრამით გათვალისწინებული საგნების შეთავაზება, რეიტინგი დგინდება მიმდინარე ეტაპზე სტუდენტთა მიერ გავლილი საგნების, მათ შორის პარტნიორ უნივერსიტეტში მიღებული ნიშნების საშუალო შეწონილით (GPA);
12. სახელმწიფო გრანტის მფლობელი რეიტინგული სტუდენტის დაფინანსების დროს, დადგენილი წესის შესაბამისად, კალკულაცია ხდება სწავლის საფასურიდან, რომელიც რჩება სახელმწიფო გრანტის თანხის გამოკლების შედეგად.